



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.242122512

თარიღი:13/08/2021

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღსაკვეთად ღონისძიებების

განსაზღვრის შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გაზრდის შესაჩივრებლად (მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებში) გამოდინარე, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიზღუდოს მოქალაქეთა მიღება, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა. მისაღებში მოქალაქეთა რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 3 ერთეულისა;
2. მოქალაქეებმა განცხადებებისა და დოკუმენტების წარდგენა განახორციელონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@zugdidi.gov.ge, გარდა დოკუმენტის მატერიალური ფორმით წარმოდგენის აუცილებლობისა, რომლის მიღება განხორციელდეს მოქალაქეთა მისაღებში განთავსებული სპეციალური ყუთის მეშვეობით.
3. დროებით შეჩერდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში თათბირების, კომისიების, საბჭოს სხდომების გამართვა და სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.
4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. სხვა დასაქმებულებს, რომელთა დისტანციური შრომის რეჟიმი შეაფერხებს მერიის საქმიანობას და მათი სამსახურში ფიზიკურად ყოფნა/გამოცხადება აუცილებელია, სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულონ სამსახურებში დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პირთა მომსახურების დისტანციურად მიწოდება, გარდა იმ მომსახურებებისა, რომელთა დისტანციურად მიწოდებაც შეუძლებელია ან გადაუდებელ აუცილებლობას უკავშირდება.
6. დისტანციური მუშაობის რეჟიმი არ ეხება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

დროებით მოვალეობის შემსრულებელს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (სამსახურის უფროსი).

7. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით დისტანციურად მუშაობის განრიგის შედგენა ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის შეუფერხებელი მუშაობა და აღნიშნული განრიგის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის და შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურისთვის წარდგენა.

8. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნისთანავე, ვალდებულია დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) გამოცხადდეს სამსახურში.

9. დასაქმებულს, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, ვისაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი, ასეთი კონტაქტის ქონიდან 12 კალენდარული დღის განმავლობაში აეკრძალოს სამსახურში გამოცხადება, რის თაობაზეც აცნობოს ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

10. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

11. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს უზრუნველყონ თანამშრომლების მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი შეუფერხებელი მუშაობა.

12. ამ ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 16 აგვისტოდან 2021 წლის 04 სექტემბრამდე პერიოდზე.

13. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 02 აგვისტოს №24.242121415 ბრძანება.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

კონსტანტინე კაკავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

